ჰოკეის დარბაზი

ქ. თბილისი, ბოზ უოლშის ქუჩა №25
(01.72.14.009.021)

დამკვეთი: შ.პ.ს "სპორტმშენსერვისი"

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი	მ. მახათაძე
მთ.არქიტექტორი	ლ. ცინცაძე
არქიტექტორი	ი. კვარაცხელია
არქიტექტორი	ვ. ამისულაშვილი
დაამუშავა	ბ. გოგოლაური

ქ. თბილისი 2024წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი /A-4/;

ბ/ კალენდარული გეგმა /A-2/;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------სამშენებლო გენგეგმა /A-3/;
ნახაზი მო-2----------სამონტაჟო სქემა /A-3/.

ა/ განმარტებითი ბარათი

1. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი დამუშავებულია СниП 3.01.01-85 თანახმად და "საქართველოს მთავრობის დადგენილება №255, მუხლი №№18, 20"-ის თანახმად.

საპროექტო შენობა—ყინულის სასახლე არის ორსართულიანი ნაგებობა და აშენდება ქ. თბილისში, ბობ უოლის ქ№25-ში, ს/კ 01.72.14.009.021. ტერიტორიაზე აგრეთვე გათვალისწინებულია ტექნიკური დანიშნულების ობიექტების მშენებლობა და ტერიტორიის კეთილმოწყობა.

საპროექტო შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: საძირკვლის რკინაბეტონის ფილა, რკინაბეტონის სვეტები და კოჭები. ყინულის მოედნის თავზე იქნება ლითონის ფერმები შეფუთული სენდვიჩ-პანელებით.

ტექნო-ეკონომიკური მაჩვენებლები:

--ტერიტორიის ფართი----------16112.00მ^2;
--საერთო ფართი----------7693.50მ^2;
--საოფისე ფართი----------625.95მ^2;
--კომერციული ფართი----------909.40მ^2;
--სპორტული დარბაზის ფართი----------2578.06მ^2;
--სპორტული დარბაზის სამშენებლო მოცულობა----------44281.10მ^3;
--შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე----------8.90მ

2. საპროექტო ობიექტის მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად დიდი მოცულობის გამო და მიღებულია პირობითად **T=27.00 თვე.** სამშენებლო სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე.

მოსამზადებელ პერიოდში უნდა განხოციელდეს შემდეგი სამუშაოები:

--ტერიტორიის შემოღობვა დროებითი საფარიანი ღობით;
--დროებითი შემოსასვლელების მოწყობა;
--დროებითი "ნაგებობების" განლაგება უსაფრთხო ზონაში;
--საპროექტო გზების გაყვანა საფარის გარეშე;
--საპროექტო ქსელების გაყვანა;

--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან;
--სასაწყობო მოედნის გათვალისწინება;
--კონსტრუქციების და მასალების შემოტანა მოედანზე;
--სამშენებლო უბნის დროებითი განათება;
--ხანძრისგან დაცვის სისტემის გათვალისწინება.

3. გრუნტის დამუშავება მოხდეს უკუჩამჩიანი ექსკავატორით და ხელით. დამუშავებული გრუნტი ზედმეტ მოცულობაში უნდა იქნას გატანილი. გრუნტის და ბალასტის უკუჩაყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით.
გრუნტის დამუშავება მოხდეს СНиП-III-4-80, ცხრ№4-ის თანახმად.

4. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს შემდეგ მექანიზმებას

N	**დასახელება**	**დახასიათება**	
		მექანიზმი	**დანიშნულება**
1	დახურული დარბაზი	საავტომობილო ამწე **KATO** –2 ცალი და სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715**—2 ცალი	1. კარკასის მონტაჟი, სენდვიჩ-პანელების დაყენება. /ამწე მოძრაობს შუა მალში "უკუსვლით". ამწეების მუშაობა ხდება სინხრონულად მარეგულირების დახმარებით 2. ბეტონის ნარევის მიწოდება
2	სატუმბოს ოთახი	ხელით და ბეტონის ტუმბო **M32**	ბეტონის ნარევის მიწოდება
3	საქვაბე	საავტომობილო ამწე **KC-3575A** და ბეტონის ტუმბო **M32**	1 ქვაბის მონტაჟი 2 ბეტონის ნარევის მიწოდება

4	სატრანსფორმატორო	ხელით და ბეტონის ტუმბო **M32**	ბეტონის ნარევის მიწოდება
5	დიზელგენერატორი	ხელით და ბეტონის ტუმბო **M32**	ბეტონის ნარევის მიწოდება

ყურადღება! მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას დამკვეთის ან სამუშაოთა მწარმოებლის სურვილის თანახმად ანალოგიურ მარკაზე.

სენდვიჩ-პანელების ტრანსპორტირება, შენახვა და მონტაჟი:

-სენდვიჩ-პანელების ტრანსპორტირება ხდება სატვირთო ღია პლატფორმების მქონე ავტომანქანებით;
-პლატფორმის სიგრძე არ უნდა იყოს ნაკლები ვიდრე პანელის სიგრძე;
-პლატფორმის სიგანე არ უნდა იყოს ნაკლები 2.5მ-ს;
-პლატფორმას უნდა ჰქონდეს სამაგრი "ბაგირები" /პანელების დასაჭერად/;
-სენდვიჩ-პანელების გადმოტვირთვა უნდა მოხდეს საავტომობილო ამწის საშუალებით;
-თუ გადმოსატვირთი პაკეტის სიგრძე აღემატება 8 მ-ს, გამოყენებული იქნას სპეციალური "განივი კოჭი" ტრავერსებთან ერთად;
-პანელების დაწყობა მოედანზე უნდა მოხდეს სპეციალურ საფუძველზე შეფუთულ მდგომარეობაში;
-მონტაჟისას უნდა იყოს გათვალისწინებული:
-ქარის სიჩქარე /არ უნდა აღემატებოდეს 9მ/წ/;
-ამინდი /არ უნდა იყოს წვიმა ან თოვლი და ტემპერატურა არ უნდა იყოს $+4^0$ ნაკლები/;
-სპეციალური დამცავი მოწყობილობა ბლოკის პერიმეტრზე /პანელის ვარდნის შემთხვევაში/;
-კარკასის ზუსტი და სრული მონტაჟი;
-ინსტრუმენტების შემოტანა მოედანზე;
-სენდვიჩ-პანელების ჩაჭრისას /საჭიროების შემთხვევაში/ უნდა იყოს გათვალისწინებული:
-სპეციალური ხერხების გამოყენება;
-ამოჭრილი ნაწილების გამაგრება.
-სენდვიჩ-პანელების მიმაგრება კარკასთან უნდა ხდებოდეს სპეციალური ინსტრუმენტებით;
-სენდვიჩ-პანელების მონტაჟი უნდა ხდებოდეს ამწის საშუალებით;
-წვრილი ელემენტების მონტაჟი შეიძლება მოხდეს ხელით;
-მონტაჟის შემდეგ აუცილებლად გათვალისწინდეს ნაკერების შევსება, დამცავი ფენის მოხსნა და საჭიროების შემთცვევაში მოხდეს პანელის ჩარეცხვა.

ყურადღება !!! სენდვიჩ-პანელების მონტაჟისას აკრძალულია იმავე სამშენებლო ზონაში ნებისმიერი შემდუღებელი სამუშაოების ჩატარება.

სამუშაოების განხორციელების რიგები და ეტაპები:

პირველი რიგი---------მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოები:

--პირველი ეტაპი-----მოედნის მოწესრიგება----------**60 დღე;**

--მეორე ეტაპი------შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება-------**30 დღე;**

მეორე რიგი---------ძირითადი პერიოდის სამუშაოები:

--მესამე ეტაპი-------შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები, ფუძის და საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე----------**90 დღე;**

--მეოთხე ეტაპი-----ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვანი ნიშნულიდან არბაზის სახურავის მოწყობა სენდვიჩ-პანელებით----------**150 დღე;**

--მეხუთე ეტაპი----სახურავის და გადახურვის მოწყობა----------**90 დღე;**

--მეექვსე ეტაპი-----არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა----------**120 დღე;**

--მეშვიდე ეტაპი----ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო ქსელების მოწყობა----------**90 დღე;**

--მერვე ეტაპი-------ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი----------**90 დღე;**

--მეცხრე ეტაპი--------შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები----------**120 დღე;**

--მეათე ეტაპი----------მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები, დამხმარე ნაგებობების მშენებლობა: სატუმბოს, სატრანსფორმატოროს, დიზელგენერატორის, საქვაბის----------**120 დღე**.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცვლელებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან.

სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებით.

საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თავსაბურებს.

მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.

გაშიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე.

სამონტაჟო მექანიზმის მუშაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

6. გარემოს დაცვის ღონისძიებები

გარემოს დაცვის ღონისძიებები ქმნის პირობებს დამახასიათებელი ეკოსისტემებისა, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არეალების დასაცავად და აღსადგენად.

პროექტირების დროს და შემდგომ მშენებლობაში გამოყენებული იყოს ნაკლებად ტოქსიკური სამშენებლო მასალები. წინამდებარე პროექტში აღნიშნულია მშენებლობის მოქმედების არეალი /სამშენებლო მოედანი /აუცილებლად უნდა იქნას შემოღობილი დროებითი ღობით.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში იხილავს პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების ფაქტორებს გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე:

-ადამიანის ჯანმრთელობის და უსაფრთხოება;
-მცენარეთა საფარი, ბიოლოგიური ექოსისტემა;
-ატმოსფერული ჰაერის მოსალოდნელი დაბინძურების დონეები;
-ხმაურის მოსალოდნელი დონეები და მისი ზემოქმედება ადამიანის საცხოვრებელ გარემოზე.

გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშენებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა-განადგურება.

ბეტონის შემოტანა უნდა მოხდეს სასაქონლო წესით ---ბეტონის ტუმბოს და ბეტონის მიქსერის საშუალებით.

7. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის 2007წ 28 მარტის №62 დადგენილების – "მშენებლობის უსაფრთხოების წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით ასევე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #477 დადგენილების - „სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთოვნების შესახებ" ტექნიკური რეგლამენტის დაცვის მიხედვით.

8. წინამდებარე განმარტებითი ბარათი იხილე ნახ მო-1, მო-2 ერთად.

სტაციონალური ბეტონის ტუმბო **Putzmeister P-715**-ის ტექნიკური დახასიათება

1	დანადგარის ზომები	3.00x1.39x1.39მ
2	მექანიზმის წონა	1700.00კგ
3	წვდომა:	
	-ვერიკალურად	60.00მ
	-ჰორიზონტალურად	200.00მ

KATO SL 650R-ის ტექნიკური დახასიათება

1	მაქსიმალური ტვირთამწეობა	65.00ტნ
2	ისრის სიგრძე	44.50მ
3	ბატიტელის სიგრძე	8.30-13.20მ
4	მაქსიმალური აწევის სიმაღლე	45.50მ
5	აწევის სიმაღლე ბატიტელით	58.60მ
6	დახრის კუთხე	7^0-60^0

ბეტონის ტუმბო **M32** -ის ტექნიკური დახასიათება

1	აწევის სიმაღლე	32.00მ
2	შვერა	28.00მ
3	ჩაწევის სიღრმე	21.00მ

4 მობრუნების კუთხე----------360^0
5 მანქანების ზომები----------2.80x10.00მ

საავტომობილო ამწე KC-3575A-ის ტექნიკური დახასიათება

1 ისრის სიგრძე----------9.50მ
2 ისრის შვერა----------5.75-14.80მ
3 ტვირთამწეობა----------0.75-4.50ტნ
4 აწევის სიმაღლე----------16.50-1.50მ

ყურადღება!!! ნებისმიერი მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.



ექსპლიკაცია

1 საპროექტო ძირითადი შენობა
2 საპროექტო სატუმბო ოთახი
3 ბეტონის მიქსერი
4 სტაციონალური ბეტონის ტუმბო
5 საპროექტო საქვაბე
6 საპროექტო სატრანსფორმატორო
7 საპროექტო დიზელგენერატორი
8 დროებითი ბიოტუალეტი
9 დროებითი დახურული საწყობი
10 დროებითი საგარდეროზო
11 დროებითი კვების "ოთახი"
12 სამუშაოთა მწარმოებლის "ოთახი"
13 დროებითი საყარაულო
14 დროებითი საფარიანი ღობე
15 დროებითი ჭიშკარი –2 ცალი
16 საავტომობილო ამწე –2 ცალი
17 დროებითი ღია სასაწყობო მოედანი

პირობითი აღნიშვნები

- -საპროექტო შენობა აგებულია ლითონის კონსტრუქციებით
- -საპროექტო შენობა აგებულია მონოლითური რკინაბეტონისაგა
- -დროებითი "ნაგებობა"
- -დროებითი საფარიანი ღობე

ჰოკეის დარბაზი

სამშენებლო გენგეგმა

ექსპლიკაცია

დამკვეთი	შ.პ.ს "სპორტმშენსერვისი"	
	ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა №25 (01.72.14.009.021)	
თანამდებობა	გვარი, სახელი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. მახათაძე	
მთ.არქიტექტორი	ლ. ცინცაძე	
არქიტექტორი	ი. კვარაცხელია	
არქიტექტორი	ვ. ამისულაშვილი	
დაამუშავა	ბ. გოგოლაური	

ფურც №
მო-1

სტადია	ფორმატი	სულ ფურც	მასშტაბი	თარიღი
პროექტი	A-3	2	1:700	11.09.2024



შენიშვნები: 1 ლითონის კონსტრუქციების და სენდვიჩ-პანელების მონტაჟი განხორციელდეს ორი საავტომობილო ამწის საშუალებით. მონტაჟისას მოედანზე დაყენდეს მარეგულირებელი მემონტაჟე.

2 სამონტაჟო მექანიზმის მარკა შეიძლება შეცვლილი იქნას ანალოგიურ მარკაზე სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად.

ჰოკეის დარბაზი

სამონტაჟო სქემა

ექსპლიკაცია

დამკვეთი	შ.პ.ს "სპორტმშენსერვისი"	
	ქ. თბილისი, ბობ უოლშის ქუჩა №25 (01.72.14.009.021)	
თანამდებობა	გვარი, სახელი	ხელმოწერა
დირექტორი	მ. მახათაძე	
მთ.არქიტექტორი	ლ. ცინცაძე	
არქიტექტორი	ი. კვარაცხელია	
არქიტექტორი	ვ. ამისულაშვილი	
დაამუშავა	ბ. გოგოლაური	

ფურც № მო-2

სტადია	ფორმატი	სულ. ფურც	მასშტაბი	თარიღი
პროექტი	A-3	2	1:300	11.09.2024

ბ/ კალენდარული გეგმა 27.00 თვე

№ ეტ	მშენებლობის განხორციელების პროცესის რიგები და ეტაპები	დღე	თვეები
			1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27
	მშენებლობის პირველი რიგი		
	მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები		
I	სამშენებლო მოედნის მოწესრიგება	60	
II	შენობა-ნაგებობის ბრუნტზე დაკვალვა და პირითადი ღერძების დაფიქსირება	30	
	მშენებლობის მეორე რიგი		
	მშენებლობის განხორციელების პირითადი პერიოდის სამუშაოები		
III	შენობა-ნაგებობის მიწის სამუშაოები	90	
	შენობა-ნაგებობის შუძის მოწყობის სამუშაოები		
	შენობა-ნაგებობის საძირკვლის მოწყობის სამუშაოები პირითადი კონსტრუქციების მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე		
IY	პირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან, დარბაზის სახურავის მოწყობა სენდვიჩ-პანელებით	150	
Y	შენობა-ნაგებობის სახურავისა და გადახურვის მოწყობა	90	
YI	არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა	120	
YII	შენობა-ნაგებობის ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო–ტექნიკური ქსელების მოწყობა	90	
YIII	ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი	90	
IX	შენობა-ნაგებობის გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები	120	
X	მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობის სამუშაოები. დამხმარე ნაგებობის მშენებლობა: სატუმბოს, სატრანსფორმატორის, დიზელგენერატორის, საქვაბის	120	

შენიშვნები:
1. მშენებლობის განსაზღვრული ვადის ათვლა განხორციელდება მშენებლობის ნებართვის აღების შემდგ.
2. ნებართვის მფლობელი ვალდებულია შეატყობინოს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ 10 დღით ადრე.

დაამუშავა: / ბ. გოგოლაური /